კახეთის რეგიონი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა

2023-2027 წლებისათვის

2022 წელი

ნაწილი 1 - რეზიუმე

1.1 დაგეგმვის საფუძველი

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" (მუხლი 13) თანახმად ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც ადგენს ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვას და შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც მას ეკისრება ნარჩენების მართვის კუთხით საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული გეგმის მიზანია ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეების, კომერციული ობიექტებისა და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას.

აქვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემის ეტაპობრივ დანერგვას და მის გამართულ ფუნქციონირებას აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს 2016–2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2022 წლისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

1.3 გეგმის შემუშავების პროცესი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება განხორციელდა მუნიციპალიტეტში შექმნილი ჯგუფის მიერ. წინამდებარე გეგმა ეფუძნება 2022 წლისათვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე მისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში.

წინამდებარე გეგმაში მოცემულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ნარჩენებთან მიმართებაში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, გეგმაში საუბარია საყოფაცხოვრებო, ბიოდეგრადირებად (ქუჩის, მწვანე ნარჩენები), ინერტულ (სამშენებლო), სამედიცინო და სახიფათო ნარჩენებზე. გეგმაში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა ნარჩენების შესახებ არსებულ მონაცემებს, რომელსაც ფლობას თავად მუნიციპალიტეტი, შპს. „ნარჩენების მართვის მყარი კომპანია“ ან რომლის მოპოვება არის შესაძლებელი სხვადასხვა მიმდინარე ინიციატივების ფარლგებში.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ლაგოდეხის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვისცენტრი“.

ლაგოდეხის ნაგავსაყრელი, რომელიც 1,220 ჰექტარს შეადგენს, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზეა.

ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვისცენტრი“ მოვალეობაში შედის ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდება, როგორც მოსახლეობისათვის, ასევე, კომერციული ობიექტებისა და სხვა დაწესებულებებისათვის.

ქ. ლაგოდეხში ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა ხდება მოსახლეობის თითქმის 30%-ისათვის ზარის სისტემით, ხოლო დანარჩენ 70%-ს აღნიშნული მომსახურება კონტეინერული სისტემით მიეწოდება.
მუნიციპალიტეტში 67 სოფელია, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება ყველა სოფელში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება-გატანა ქ. ლაგოდეხის ხდება კვირაში შვიდჯერ, მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლებიდან ნარჩენების გატანა ხდება კვირაში ორჯერ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთო ჯამში განთავსებულია 667 ერთეული ნარჩენების შეგროვების კონტეინერი.

მუნიციპალიტეტში არსებული იურიდიული პირებიდან ნარჩენების გატანას ახდენს მუნიციპალური ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვისცენტრი". მუნიციპალიტეტში არსებული იურიდიული პირები რეგისტრირებულები არიან დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ერთიან სიაში, ამ მიზნით, მათი მოთხოვნის შესაბამისად ხდება ხელშეკრულების გაფორმება. სულ ბაზაში რეგისტრირებულია 749 იურიდიული პირი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიისათვის ნარჩენების გატანის მომსახურებას, ასევე ზემოთ აღნიშნული ა(ა)იპ ,,ლაგოდეხის სერვისცენტრი".
2017-2022 წლის მონაცემების მიხედვით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ შეგროვდა დაახლოვებით 120 000 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

ბაზაში რეგისტრირებული იურიდიული პირების 80% იხდის დასუფთავების მოსაკრებელს.
ბაზაში რეგისტრირებული 12481 ფიზიკური პირების 80% იხდის დასუფთავების მოსაკრებელს.

1.5 შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი იყო მუნიციპალიტეტს მოეხდინა მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა და შესაბამისი ბაზა შექმნა, რაც განხორციელდა.

ეფექტიანი მომსახურების მიწოდებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის დაფარვა ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების კონტეინერული სისტემით.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, აუცილებელია ნარჩენების შეგროვების მარშრუტების ოპტიმიზაცია სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს ქაღალდსა და პლასტიკზე, გამომდინარე იმ შედეგებიდან, რაც კახეთის რეგიონში განხორციელებულმა ნარჩენების მორფოლოგიური სეზონური კვლევის შედეგებმა აჩვენა. ორგანული ნარჩენის რაციონალური გამოყენებისა და ამ კატეგორიის ნარჩენის ნაგავსაყრელზე განთავსების შემიცრების მიზნით, აუცილებელია მუნიციპალიტეტში კომპოსტირების პრაქტიკის ფართო დანერგვის ხელშეწყობა.

1.6 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებაზე პასუხიმგებლობა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი; ნარჩენების მოსაკრებლის ამოღებაზე კონტროლს ახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური.
გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე ხდება თანამშრომლობა და აქტივობების კოორდინირება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს შორის.

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლოსაფუძვლები

საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაზე ნაწილდება.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე, მის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
არასახიფათო ნაგავსაყრელების მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო[1], კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებიც, კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" თანახმად პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"[2] თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებულნი არიან შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები.

[1] ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქალაქი თბილისი, სადაც ნარჩენების შეგროვება/გატანა და ნაგავსაყრელების ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობის სფეროში შედის.

[2] 2015 წლის 15 იანვარს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომლის მიზანია სამართლებრივი და მარეგულირებელი საფუძვლის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციასა და ხელახალ გამოყენებას, აგრეთვე ნარჩენების დამუშავებას გარემოსთვის უსაფრთხო გზით, მათშორის – შეგროვებას, ტრანსპორტირებას, აღდგენასა (რეციკლირება, კომპოსტირებადაა.შ.) დაგანთავსებას. კანონისამოცანაა: 1) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვა ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციისა ან

აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიას და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. კანონის მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5-წლიან პერიოდს, და უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის სხვასახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების მიმართ.

კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი'' თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების აღდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი აღდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება იმ წესით მოხდეს, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენებისა და გარემოს დაბინძურების რისკი.

კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი'' კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიისმ ესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მისი გასუფთავებათავად მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნვლყოფს.

კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი'' ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომლებიც გაზრდიან ნარჩენების რეციკლირებისა და აღდგენის დონეს მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნარჩენების აღდგენის პროცესის ხარჯ-ეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს. კანონი ითვალისწინებს, რომ ერთმანეთის მეზობელმა მუნიციპალიტეტებმა შეიძლება

შემცირების გზით; 2) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; და 3) იმ რესურსების ეფექტიანი მოხმარების წახალისება, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების უკეთ მართვის შედეგად.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი'' საფუძველზე შემუშავებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 წლებისთვის და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016–2020 წლებისთვის, რომლებიც კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრავს კონკრეტულ დროში გაწერილ მოკლე და გრძელვადი ან მიზნებს ნარჩენების მართვის კუთხით და ამ მიზნების მიღწევის მიდგომებსა და ქმედებებს.

შექმნან მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემები და, ასევე, შეიმუშავონ მუნიციპალური ნარჩენების ერთობლივი მართვის გეგმა.

კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" მე-13 მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს.

2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, კახეთის რეგიონში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დასავლეთით – ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით — დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს საზღვრავს სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფართობი 890.2 კმ² შეადგენს. ტერიტორიის 38,979 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს, რაც მთლიანი ტერიტორიის 44%-სშეადგენს. ტყეებს მუნიციპალიტეტის 41,162 ჰა უჭირავს, რაც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 46% შეადგენს.

მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, ზომიერად ცივი ზამთარითა და ცხელი ზაფხულით. მუნიციპალიტეტში საშუალო წლიური ტემპერატურაა 13°C. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა 650 მმ-იდან 1,080 მმ-მდე მერყეობს. მაღალმთიან ნაწილებში განვითარებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, ცივი ზამთარითა და გრილი ზაფხულით, აქ ნალექების წლიური მოცულობა 1,200-1,800 მმ-ს აღწევს.

მუნიციპალიტეტის კლიმატისთვის დამახასიათებელია სეტყვა და გვალვა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და გრუნტის წყლებით. მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარე ალაზანი, რომელიც ჩამოედინება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებისსაზღვარზე. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია მდინარე კაბალი, მაწიმისწყალი, ლაგოდეხისწყალი, არეში და აფენისხევი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა ლაგოდეხი - ზაქათალის მიმართულებით, სადაც მდებარეობს ლაგოდეხის საბაჟო.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 41,050 კაცს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში 67 სოფელი და ერთი ქალაქია. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 46 კაცი კვ.კმ-ზე შეადგენს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში წამყვანი სამრეწველო დარგია სოფლის მეურენობა და ტურიზმი. სოფლის მეურენობის დარგებიდან აღსანიშნავია მეთამბაქოეობა, მარცვლოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, მებაღჩეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა.

მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 749 იურიდიული პირი, მათ შორისაა საწარმოები, რესტორნები, სასტუმროები, ღვინის საწარმოები, კომერციული ობიექტები, სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები და ა.შ. მუნიციპალიტეტში, ასევე ფუნქციონირებს მცირე ზომის სავაჭრო ობიექტები/პუნქტები.

მუნიციპალიტეტში არის ასევე რამდენიმე საავადმყოფო ადმინისტრაციულ ცენტრში და ამბულატორიები სოფლებში.

2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები

მუნიციპალიტეტში 2018 წელს დაიწყო დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების სისტემის შექმნაზე მუშაობა. იმისათვის რომ ეს პროცესი გამართულიყო, მნიშვნელოვანი იყო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სწორედ ამიტომ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 3 აგვისტოს #67 დადგენილებით განსაზღვრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა და დაამტკიცა გადახდის ინსტრუქცია. 2018 წლამდე მუნიციპალიტეტში არ არსებობდა გადამხდელი პირების ერთიანი ელეექტრონული ბაზა, შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ბაზის შექმნისა და მოსაკრებლის ამოღების სისტემის ჩამოყალიბების საკითხები. ვინაიდან მოსაკრებლის გადამხდელი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ნარჩენების წარმომქმნელი ყველა სუბიექტი. ამიტომ, საჭირო იყო აღრიცხულიყო მუნიციპალიტეტის მაშტაბით ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

ფიზიკური პირების აღრიცხვა დაევალათ მერის წარმომადგენლებს, მათ დავალების ფარგლებში უნდა მოეხდინათ თავიანთ ადმინისტრაციულ ერთეულებში ოჯახების აღრიცხვა, ხოლო იურიდიული პირების აღრიცხვა დაევალა ,,სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს“. ვინაიდან დადგენილების თანახმად, იურიდიული პირებისთვის დიფერენცირებული გადასახადი იყო დადგენილი, საჭირო იყო ხშირ შემთხვევაში შენობების და ტერიტორიების აზომვა. ამ პროცესს, ავომატურად თან ახლდა სამსახურის მხრიდან, გადამხდელ იურიდიულ პირებთან, ხელშეკრულებების დადება ან/და შეტყობინებების ჩაბარება/ გამოკვრა თვალსაჩინო ადგილზე.

დადგენილების თანახმად, მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი შეთანხმების ან ხელშეკრულების გაფორმება, საკუთარი ინტერესებისა და ამ დადგენილების მიზნებიდან გამომდინარე, თუმცა მოსაკრებელი გადაიხდება ამ წესის შესაბამისად. ეს ჩანაწერი გადამხდელ პირს აძლევდა საშუალებას, რომ მოეთხოვა თავისავე ინტერესიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადება, სხვა შემთხვევაში მისთვის ჩაბარებული ან გამოკრული შეტყობინება, ვალდებულს

ხდიდა გადაეხადა დასუფთავების მოსაკრებელი. ხოლო, ის რომ მასთან ხელშეკრულება არ იყო გაფორმებული, აღარ წარმოადგენდა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისგან თავის არიდების მიზეზს.

ლაგოდეხის პრაქტიკის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების ჩართულობა სიახლეებისა და ახალი პროგრამების დანერგვის ნაწილში. ასევე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ჩართულობა ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო მარტივი და მოქნილი სისტემა, ზედმეტი დანახარჯის გარეშე, რომელიც ხმარდება სისტემისა და მომსახურების გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა, ლაგოდეხის მუნიციიპალიტეტის ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემთა ბაზა, სადაც თვითოეულ აბონენტს მიენიჭა უნიკალური კოდი, განხორციელდა მოსახლეობის ინფორმირებულობა დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ, ასევე ყოველთვიურად იგზავნება სმს შეტყობინებები. სწრაფი ჩარიცხვის აპარატების და ინტერნეტ ბანკის მეშვეობით, დაინერგა გადახდის მარტივი და მოქნილი სისტემა, რაც საშუალებას აძლევს გადამხდელს ზედმეტი საკომისო ან სხვა მსგავსი ტიპის გადასახადის გარეშე, გადაიხადოს დასუფთავების მოსაკრებელი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გადახდის სისტემა არის მარტივი და მოქნილი ყველა გადამხდელი პირისათვის, გადამხდელს არ აქვს რაიმე დამატებითი საკომისიო გადასახადი, მისი გადახდილი თანხა სრულად აისახება მის სადეპოზიტო ანგარიშზე. ასევე რაც ყველაზე მინიშვნელოვანია ადგილობრივ ბიუჯეტისათვის ეს მომსახურება საკმაოდ იაფია. მოსაკრებლის ამოღების დანახარჯი შეადგენს სმს მომსახურების თანხას და კლირინგ ცენტრის მომსახურების თანხას. (კლირინგ ცენტრი აერთიანებს 14 საბანკო ორგანიზაციას, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების თანხა შეადგენს - ამოღებული თანხის 0,2 % + 50 ლარი.

პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა დაიწყო ახალ კომპონენტზე მუშაობა, რომელიც გულისხმობს ქვითრის საშუალებით დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას. არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტში არიან ადამიანები, ვისთვისაც პრობლემას წარმოადგენს ელექტრონულად თანხის გადახდა, მათთვის უფრო მოსახერხებელია არსებობდეს ქვითრით გადახდის საშუალება. ამიტომ, აუცილებელი გახდა ამ მიმართულებით პრაქტიკის ჩამოყალიებება. საპილოტე პროექტის ფარგლებში 2021 წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო ქვითრის საშუალებით მოსაკრებლის ამოღება კარდაკარის პრინციპით. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ფიზიკური პირებიდან ამოღებულმა თანხამ მხოლოდ 2021 წლის დეკემბრის თვეში 13 000 ლარამდე შეადგინა, რაც ამ პროექტის წარმატებით განხორცილებეაზე მეტყველებს და კიდევ უფრო დახვეწას და გაუმჯობესების საწინდარი გახდა, აღნიშნული პროექტი დღემდე ინტენსიურ რეჟიმში, წარმატებით მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ამოღებულმა დასუფთავების მოსაკრებელმა (2022წ ჩათვლით) შეადგინა 235 000 ლარი, რაც ერთი წლის განმავლობაში შემოსასვლელი დასუფთავების მოსაკრებლის 89%-ია.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია შემდეგი მნიშვნელოვანი მიზნების გადაწყვეტასა და შედეგების მიღწევაზე:

1. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება;
2. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება;
3. ნარჩენების განთავსების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობისა და ეკოსისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
4. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისი მართვის სისტემის დანერგვა (პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა).

ნაწილი 3 – მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

3.1. შესავალი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას ლაგოდეხის ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრი.

აღნიშნული სამსახურის მოვალეობაში შედის ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდება როგორც მოსახლეობისათვის, ასევე კომერციული და სხვა დაწესებულებებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მათ ფუნქციაში შედის ასევე ქუჩების დასუფთავება, ბალახის/ხეების ჭრა, ბაღის ნარჩენების გატანა.

ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრში დასაქმებულია 110 ადამიანი.

ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვის ცენტრის სარგებლობაშია:

ლაგოდეხი	4	ნაგავმზიდი	
	1	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი 13 მ³	1/2017
	2	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი 7 მ³	2/2017
	1	კომპაქტორიანი ნაგავმზიდი 6+1მ³	
	120	240 l პლასმასის კონტეინერები	
	129	1.1 მ³ პლასმასის კონტეინერები	
	65	1.1 მ³ ბადიანი კონტეინერები (სეპარირებისთვის)	
	130	1.1 მ³ ლითონის კონტეინერი	2/2017

3.2. გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები

აღნიშნული გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდეგ სახეობებთან მიმართებაში არსებულ მდგომარეობას:

- საყოფაცხოვრებო ნარჩენები;
- კომერციული ობიექტების ნარჩენები[3];
- ქუჩის ნაგავი;
- ფოთოლი და ბაღის ნარჩენები;
- მცირე საწარმოო ობიექტების ნარჩენები;
- სამშენებლო ნარჩენები;
- სახიფათო ნარჩენები.

3.3. ნარჩენების რაოდენობა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობს შესახებ ზუსტი მონაცემები, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნის შემთხვევაში, არ მოიპოვება. ნარჩენების მოცულობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ნაგავსაყრელებზე შეტანილი ნარჩენების რაოდენობის მიხედვით.

მუნიციპალიტეტს არ აქვს ინფორმაცია მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების შესახებ.

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი მუნიციპალური სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, რადგან არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების განცალკევებული შეგროვება.

ასევე, არ მოიპოვება მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი დიდგაბარიტიანი[4] (რადგან მათი გატანა არ ხდება შემგროვებელი კომპანიის მიერ და მოსახლეობა ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე ინახავს ამ ტიპის ნარჩენს) ნარჩენების რაოდენობის შესახებ.

3.4. ნარჩენების პროგნოზირება

ნარჩენების რაოდენობის ცვალებადობა, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ძირითადად ნარჩენების რაოდენობასა და შემადგენლობაზე. მუნიციპალიტეტში შემდეგი 5 წლიანი პერიოდისთვის ნარჩენების რაოდენობის პროგნოზი დაეყრდნო მოსახლეობის რაოდენობის ცვალებადობის ტენდენციებს, ნარჩენების შემადგენლობის და ნარჩენების რაოდენობის პროგრესს ბოლო 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, მხედველობაში იქნა მიღებული მოსახლეობის წილი რომელიც ცხოვრობს ქალაქში

[3] მოიცავს ბაზრების, მაღაზიების, ოფისების, რესტორნების, საწყობებისა და სასტუმროების ნარჩენებს (მსხვილ კომერციულ დაწესებულებებს შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საკუთარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ხოლო მცირე საწარმოები ხშირ შემთხვევაში გამოიყენებენ საერთო კონტეინერებს).

4 საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" მიხედვით, დიდგაბარიტიან ნარჩენებს განეკუთვნებიან ნარჩენები, რომლებიც თავიანთი ზომებისა და ფორმის გამო ვერ თავსდება ნარჩენების სათავსში.

და სოფლად. გათვალიწინებული იქნა განსხვავება ნარჩენების წარმოქმნის თვალსაზრისით. კერძოდ, ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე უფრო მეტ ნარჩენს წარმოქმნის.

ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა და შემადგენლობა, ისევე როგორც ნარჩენების გადამუშავების პოტენციალი, როგორიცაა: რეციკლირება, ენერგიის აღდგენა, ენერგიის აღდგენა ბიოგაშრობით და გამოყენებადი შესაფუთი მასალის ნარჩენები რეგიონში წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში.

3.5. ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნარჩენების შემადგენლობის ყველაზე განახლებული მონაცემები, მათ შორის ნარჩენების სხვადასხვა ფრაქციების/ნაკადების რაოდენობა და პროცენტული წილი მთლიან მუნიციპალურ ნარჩენებში, არ არის ხელმისაწვდომი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტისთვის. მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა თელავის ნაგავსაყრელზე ნარჩენების შემადგენლობის კვლევის მონაცემები. ნარჩენების ზოგადი შემადგენლობა კახეთის რეგიონში - ნარჩენების ინდივიდუალური ნაკადების პროცენტული წილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობაში გამოითვლება მუნიციპალური მყარი ნარჩენების დაგეგმვის მხარდაჭერის კალკულატორის მეშვეობით და მოცემულია ქვემოთ ცხრილში და სურათი 1-ზე.



ნარჩენების შემადგენლობა	მთლიანი ნარჩენების წილი, %
ბიო-ნარჩენი	42.70%
ქაღალდი	11.20%
პლასტმასი	12.80%
შავი ლითონები	1.70%
ფერადი ლითონები	0.60%
მინა	6.00%
ხე	1.11%
ტექსტილი და ტყავი	9.40%
WEEE	1.20%
C&D	3.20%
დანარჩენი	10.09%
სულ	**100.00%**

სურათი 1 ნარჩენების შემადგენლობა კახეთის რეგიონში [წონა-%]

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

4.1. ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები

ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენების განთავსებახდება ლაგოდეხის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რომლის ფართობი 1,220 ჰექტარს შეადგენს და რომელიც შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ბალანსზეა.

აღნიშნულ ნაგავსარელზე ლაგოდეხის მუნიციპალური ნარჩენების განთავსება 2010 წლიდან ხდება. ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების პერიოდული დაფარვა ხდება ნარჩენების ფენით. ნაგავსაყრელი კეთილმოწყობილია, შემოღობილია, და მის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლა კონტროლირდება კომპანიის თანამშრომლების მიერ. ნაგავსაყრელზე არ არის დამონტაჟებული სასწორი.

მანძილი შეგროვების ადგილიდან ნაგავსაყრელამდე 25–32 კმ–ში ვარირებს. ყოველდღიურად ლაგოდეხის ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული 48 $მ^3$ ნარჩენის განთავსება ხდება.

ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების ხარისხიდან გამომდინარე მუნიიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილები ე.წ. სტიქიური ნაგავსაყრელები.

სტიქიური ნაგავსაყრელები არსებობს თითქმის ყველა სოფელში. სამწუხაროდ მუნიციპალიტეტს არ ააქვს ზუსტი მონაცემები მის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების შესახებ. ასევე, არ არსებობს სამოქმედო გეგმა ამ ადგილების დახურვასთან მიმართებში. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი პერიოდულად ახდენს ნარჩენების გატანას ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილებიდანოფიციალურ ნაგავსაყრელზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს აქვს ელექტრონული რუკა სადაც GPS კოორდინატებით დატანილია როგორც სტიქიური ნაგავსაყრელები, ასევე უკვე დასუფთავებული ადგილები. აღნიშნული რუკით ხელმძღვანელობს ლაგოდეხის ა(ა)იპ სერვის ცენტრი, რომელიც ეტაპობრივად ახდენს დაბინძურებული ადგილების დასუფთავებას.

4.2. აღდგენა (რეციკლირებადა კომპოსტირება)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს რაიმე საწარმო, რომელიც მოახდენდა აღდგენადი მასალების ცენტრალიზებულ შეგროვებას და გატანას, ასევე, არ არის ნარჩენების შეგროვების პუნქტები.

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი კომპოსტირების პრაქტიკა. მოსახლეობა არ ახდენს ორგანული ნარჩენის კომპოსტად გამოყენებას და ზოგადად, ამ საკითხისადმი ნაკლებ ყურადღებას იჩენს.

4.3. ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება

ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპროტირების მომსახურების ტარიფების დადგენასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: ნარჩენების მართვის კოდექსი (2015), საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014), და საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ (1998, შესწორებებით).

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია ადგილობრივი მოსაკრებლების (ტარიფების) შემოღებაზე, ამოღებასა და გაუქმებაზე. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ მოსაკრებლების სტრუქტურასა და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.[5] ამჟამად მოქმედ კანონებში ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია არ არის განისაზღვრული და საჭიროებს შემუშავებას.

საქართველოს კანონი მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ (1998) მიხედვით მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში. მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა ერთ ოჯახში არ უნდა აღემატებოდეს ოთხს, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლოს ოდენობა ერთ ოჯახზე არ უნდა აღემატებოდეს 12 ლარს თვეში; ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ტარიფი განსაზღვრულია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №67 დადგენილებით *ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრელის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.*

აღნიშნული დადგენილების მუხლი 1-ის მიხედვით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულზე შეადგენს - თვეში 0,50 ლარს, ხოლო 4

[5]ნარჩენების მართვის კოდექსი, მუხლი 5, პუნქტი 2 (ბ).

სულზე მეტი ოჯახის შემთხვევაში თვეში არაუმეტეს 2 ლარს - ოჯახზე. რაც შეეხება იურიდილ პირებს, მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებულია დადგენილების დანართი N1.

4.4. ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები

2022 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 37 181 432 ლარს შეადგენდა, აქედან ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები 2022 წლისათვის 1 130 900 ლარს.

ნაწილი 5 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი და რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან არსებული მდგომარეობისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების განხილვის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ნარჩენების მართვის სამომავლო ვარიანტების ანალიზი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის.

შეგროვება და ტრანსპორტირება

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის მიზანშეწონილია მოხდეს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელის აღჭურვა საკმარისი რაოდენობის ურნებით, რათა შეგროვების კონტენირებული სისტემა დაინერგოს მუნიციპალიტეტში. აღნიშნული ყველაზე მეტად შეესაბამება მუნიციპალიტეტს მოსახლეების რაოდენობის, სიმჭიდროვის და ადგილის რელიეფის ფაქტორების გათვალისწინებით.

ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა ეტაპობრივად.

მომსახურების არეალში კონტეინერების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმომქმნელებისგან, რომელთაც ისინი უნდა მოემსახურონ, არ უნდა აღემატებოდეს 150– 200 მ-ს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა მოხდეს შემდეგი ფაქტორებისგათვალისწინება:

- შეგროვების მიზნით მანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;
- მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა დღე–ღამის სხვადასხვა მონაკვეთში;
- ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი მანქანების წონის შეზღუდვა.

ნარჩენების შეგროვების გამართული სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებლაი სწორი სატაროფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სამართლიანი მოსაკრებლის გამოთვლა ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით და ასევე, მოსაკრებლის ამოღების ახალი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ნარჩენების განთავსება

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ვალდებულია ნარჩენების ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირებაზე, ხოლო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსებას, ისევე, როგორც ლაგოდეხის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების არსებული პოლიგონის მართვას უკვე შპს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ახორციელებს.

აქვე, აღსანიშნავია, რომ სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრის მიერ.

ამ პერიოდის განმავლობაში უნდა განხორციელდეს ახალი რეგიონული კახეთის ნაგავსაყრელისა და გადამტვირთი სადგურების მშენებლობა, საჭიროებისამებრ.

ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირებაში ჩაშვების შემდეგ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი და შეგროვებული ნარჩენების განთავება მოხდება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

აღდგენა

იმ შემთხვევაში თუ იქნება სეპარირებული ნარჩენების შეგროვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პუნქტების მოწყობა. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ნაკადებზე (ქაღალდი, პლასტიკი და ორგანული ნარჩენები), რომლებიც გამოიყო ნარჩენების შემადგენლობის კვლევის დროს. მუნიციპალიტეტის სპეციფიკადან

გამომდინარე ეფექტიანი იქნება ასეთი შეგროვების პუნქტების მოწყობა მაღაზიებთან და საერთო სარგებლობის ადგილებთან.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა მოახდინოს იმ კომპანიებთან მოლაპარაკებები, რომლებიც დახარისხებულად შეგროვებული ნარჩენის გატანით დაინტერესდებიან. მუნიციპალიტეტმა უნდა გამოყოს საცავი შეგროვებული ნარჩენის დასაწყობების მიზნით, სადაც კომპანია მოახდენს ნარჩენების წინასწარი დამუშავების მოწყობილობების დამონტაჟებას. წინასწარ უნდა მოხდეს მოლაპარაკება ფასზე და ნარჩენის შესყიდვის პროცედურებაზე.

აუცილებელია სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენის ტრანსპორტირება ხდებოდეს მუნიციპალიტეტის სპეციალურად ბრენდირებული ავტოტრანსპორტით, რათა მოსახლეობა ხედავდეს, რომ ნარჩენის ტრანსპორტირება ხდება ცალკე სპციალურად გამოყოფილ საცავში, ნარჩენის შემდგომი გადამუშავების მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ კახეთის რეგიონში თელავის ნაგავსაყრელზე ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნარჩენების შემადგენლობაში წამყვანი ადგილი ორგანულ ნარჩენს უჭირავს, მნიშვნელოვანია კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. ხარჯთეფექტიანობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია საერთო სარგებლობის (რამდენიმე ფერმერის გაერთიანება) საკომპოსტე ადგილების მოწყობა.

დანართი 3 ლოგიკური ჩარჩო

ხედვა	**“ლაგოდეხი ისწრაფვის გახდეს ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი - ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული საზოგადოება“**		
მიზანი 01:	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება		
ამოცანები		**ვადა**	**ინდიკატორები**
1.1	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის სისტემის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და კანონაღსრულების უზრუნველყოფა	2023-2024	
1.2	ნარჩენების მართვის დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა	2023-2027	
მიზანი 02:	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება		
ამოცანა		**ვადა**	**ინდიკატორები**
2.1	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის-მომსახურების უზრუნველყოფა მინიმალური დანახარჯით- შემუშავება და დანერგვა	2023-2027	
მიზანი 03:	ნარჩენების განთავსების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობისა და ეკოსისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა		
ამოცანები		**ვადა**	**ინდიკატორები**
3.1	მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია/ტერიტორიის რემედიაცია	2023-2027	
მიზანი 04:	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისი მართვის სისტემის დანერგვა (პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა)		
ამოცანები		**ვადა**	**ინდიკატორები**
4.1	ნარჩენების წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემის დანერგვა	2023-2027	
4.2	მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის საპილოტე პროექტის განხორციელება	2023-2027	

4.3	ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;	2023-2027	

მიზანი 01		***მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება***					
ამოცანა 1.1		*მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და კანონაღსრულების უზრუნველყოფა*					
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
1.1.1	ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება	განხორციელებულია ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 3 აგვისტოს N67 დადგენილებაში	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2024	0	0	
ამოცანა 1.2		*ნარჩენების მართვის დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა*					
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
1.2.1	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და სათანადო ადმინისტრირების კუთხით: საჭიროებათა ანალიზის ჩატარება, ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგების ეფექტიანი სისტემის დანერგვა;	მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები გაძლიერებულია, აღრიცხულია ნარჩენები და დანერგილია ანგარიშგების ეფექტიანი სისტემა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2025	5000	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
1.2.2	მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის ყველა ხარჯის დაფარვის მიზნით მოსაკრებლის ეფექტიანი სატარიფო სისტემის შემუშავება და დანერგვა.	ნარჩენების მართვის სერვისისთვის შემოღებულია ეფექტიანი სატარიფო სისტემა მთელს მუნიციპალიტეტში	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2024	5000	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
1.2.3	ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი მართვის პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა შემუშავებული პროგრამების საშუალებით.	ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების 5 კამპანია, დასუფთავების 5 კამპანია (რაოდენობები)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	5000 ლარი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	

მიზანი 02:		***მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესება***					
ამოცანა 2.1		*მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის-მომსახურების უზრუნველყოფა მინიმალური დანახარჯით-შემუშავება და დანერგვა*					
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
2.1.1	მუნიციპალიტეტებში არსებული ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების არსებული სისტემის ოპტიმიზაცია, დასუფთავების სერვისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჭიროებების განსაზღვრა-კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად-სერვისის მიმწოდებელი ოპერატორების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა		შეგროვების და ტრანსპორტირების სისტემა ოპტიმიზირებულია, კონტეინერების განლაგებისა და მარშრუტების რუკა შედგენილია: თანამშრომელი / პერსონალი დატრენინგებულია.	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2026	10 000 ლარი	სახელმწიფო/ მუნიციპალური ბიუჯეტი	საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის პროექტის ფარგლებში
2.1.2	მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება/ შესაბამისი რაოდენობებისა და ხარისხის კონტეინერებითა და ნაგავმზიდებით მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფა;		შეძენილია 700 კონტენერი და 1 ნაგავმზიდი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	700 000 ლარი	დონორები სახელმწიფო/ მუნიციპალური ბიუჯეტი	
2.1.3	ნარჩენების შეგროვება-გატანის სისტემის გაუმჯობესება ნაგავმზიდების მუშაობის ხარჯ-ეფექტური განრიგის შემუშავებისა და დანერგვის გზით;		შემცირდა ნაგავმზიდების მუშაობის ხარჯ-ეფექტურობა ნარჩენების შეგროვება-გატანის სისტემის გაუმჯობესებით	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	100 000	დონორები, სახელმწიფო/ მუნიციპალური ბიუჯეტი	
2.1.4	ნარჩენების მართვაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების და საჯარო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის სქემის დანერგვის ხელშეწყობა		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, გახსნილია 2 სპეციფიური ნარჩენების შეგროვების ობიექტი (მგო-თან თანამშრომლობით)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	300 000 ლარი	მუნიციპალიტეტი/ სახელმწიფო ბიუჯეტი დონორები, კერძო სექტორი, მგვ ორგანიზაციები	
მიზანი 03:		***ნარჩენების განთავსების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობისა და ეკოსისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა***					

ამოცანა 3.1	*მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია/ტერიტორიის რემედიაცია*						
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
3.1.1	მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების აღრიცხვა, შესაბამისი ინტერაქტიული რუკის შექმნა;	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ყველა სტიქიური ნაგავსაყრელი იდენტიფიცირებულია, ინტერაქტიული რუკა შედგენილია	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-24	0	სახელმწიფო/ მუნიციპალური ბიუჯეტი	
3.1.2	სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/ რემედიაციის გეგმის შემუშავება და განხორციელება	სტიქიური ნაგავსაყრელები დახურულია, რემედიაციის გეგმები შედგენილი და დანერგილია	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	50 000 ლარი	სახელმწიფო/ მუნიციპალური ბიუჯეტი	
3.1.3	დახურულ სტიქიურ ნაგავსაყრელებზე კონტროლის მექანიზმის დანერგვა	დანერგილია ვიდეო კონტროლის მექანიზმი დახურულ ნაგავსაყრელებზე	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2025	25 000 ლარი	მუნიციპალური ბიუჯეტი/დონორი	
3.2.2	ლიკვიდირებულ ნაგავსაყრელებზე ხელახალი დაბინძურების პრევენციის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის წარმოება	დახურულ ნაგავსაყრელებზე განთავსებულია საინფორმაციო/გამაფრთხილებელი ბანერები	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	2023-2027	10 000 ლარი	მუნიციპალური ბიუჯეტი	
მიზანი 04:	**მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისი მართვის სისტემის დანერგვა (პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა)**						
ამოცანა 4.1 სისტემის დანერგვა	**ნარჩენების წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემის დანერგვა**						
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
4.1.1	მუნიციპალური პლასტიკის ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების დაწყება	სპეციალური ურნების განლაგება შემდგომ ლოკაციებზე (ქ.ლაგოდეხი და სოფელი კაბალი)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი	2023-2027	0 ლარი		

4.1.2	მოგროვებული სეპარირებული ნარჩენის დახარისხება, დაპრესვა, სარეალიზაციოდ გამზადება	სეპარირებულად შეგროვებული პოლიეთილენის ნარჩენი სარეალიზაციოდ გამზადებულია	მუნიციპალიტეტი/ ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი	2023-2027	0		
4.1.3	პლასტიკით დაინტერესებული კომპანიების მოძიება ხელშეკრულების გაფორმების მიზნით	ხელშეკრულება გაფორმებულია პლასტიკის შეძენით დაინტერესებულ კომპანიებთან.	მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი	2023-2027	0		
4.1.4	ნარჩენების წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემის დანერგვა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე	დანერგილია ნარჩენების წყაროსთან სეპარირებულად შეგროვების სისტემა მუნიციპალიტეტის სულ მცირე 4 ლოკაციაზე (შეძენილია სპეციალური ურნები და ნაგავმზიდი)	მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი	2023-2027	200 000	მუნიციპალური ბიუჯეტი/დონორი	
ამოცანა 4.2	**მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელება**						
ღონისძიებები		**შედეგი**	**პასუხისმგებელი ერთეული**	**განხორც. პერიოდი**	**ღირებულება**	**დაფინანსების წყარო**	**შენიშვნა**
4.2.1	მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების (ვენახების, ბაღებისა და პარკების ნარჩენები) კომპოსტირების პილოტური პროექტის განხორციელება შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ;	მოწყობილია კომპოსტირების ადგილები მუნიციპალიტეტის სულ მცირე 2 ლოკაციაზე	მუნიციპალიტეტი ა(ა)იპ ლაგოდეხის სერვისცენტრი	2023-2027	100 000 ლარი	კერძო სექტორი დონორები სახელმწიფო ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	
ამოცანა 4.3	**ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;**						
4.3.1	სამშენებლო ნარჩენების გატანის მომსახურების სისტემის დანერგვა	შეძენილია 1 ნაგავმზიდი და სპეციალური კონტეინერები	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში	2023-2027	400 000 ლარი	დონორები მუნიციპალური ბიუჯეტი	
4.3.2	სამშენებლო ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტის მოწყობა	შეძენილია სამშენებლო ნარჩენის გადამამუშავებელი დანადგარი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში	2023-2027	60 000 ლარი	დონორები მუნიციპალური ბიუჯეტი	